# დროება

**რედაქცია**

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



არწრუნის თეატრი.

დღეს, 16 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

**I**

**მეფე და პოეტი**

ისტორიული ეპიზოდი ერთ სურათად.

**II**

მესამე მოქმედება ცაგარლის დრამიდამ.

**მათიკო**

**III**

**ცელქები**

ვოდევილი 1 მოქმედებად, კუპლეტებით.

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

**ამ თვის 16-ს ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამწერლო გადატანილ იქმნება ახალ სადგომში, პირველის კლასიკურის გიმნაზიის უკან, ნაზაროვის სახლებში, სიმონსონოვის ქუჩაზე (სართული მეორე).**

**იქვე იქმნება გადატანილი რედაქცია ჟურნალის «ივერიისა».** (4—4)


## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

14 ოქტომბერს.

**პეტერბურგი.** ბულგარიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბალაბანოვი მოვიდა პეტერბურგში და ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრისაგან მიღებულ იქმნა. ბალაბანოვი იმიტომ მოვიდა, რომ შეეკრას რუსეთს კონვენციით იმ ვალის შესახებ, რომელიც ბულგარიას დაედო რუსეთის ჯარის ბულგარიაში დაყენების გამო. ბალაბანოვთან ერთად მოვიდა გენერალი ლესოვოიც.

**პარიჟი.** მინისტრ-პრეზიდენტმა, მიუგო რა პასუხი უკიდურესი მარცხენა მხრის მოთავეს, სთქვა, რომ კაბინეტი ჯერ-ჯერობით არ ჰფიქრობს ახალი კრედიტის თხოვნას ტონკინის ექსპედიციისათვის და ის აზრი გამოხატა, რომ კითხვები გამოაჩენს, პალატა ენდობა თუ არა კაბინეტსაო. პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ სამინისტროს მხარეზე შესამჩნევი უმრავლესობა იქნება.

**თბილისი, 14 ოქტომბერს.**

პერფილიევის საქმემ აალაპარაკა მთელი რუსეთის საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა. არა იმიტომ, რომ პერფილიევს მართლა ბევრი ფული «შემოეჭხარჯოდეს» — მისგან შეჭმული 45,000 მან. მხოლოდ წვეთია მილიონებთან შედარებით — არამედ იმიტომ, რომ პერფილიევი იყო მარჯვენა ხელი შინაგან საქმეთა მინისტრის მაკოვისა, მისი გულითადი მეგობარი, გამგე იმ კანცელიარიისა, რომელიც მთელ რუსეთის საქმეებსა მართავს. რუსეთის გაზეთები სამართლიანად ამბობენ, რომ პერფილიევისაგან საზოგადო ფულების მითვისება ჩვენის დროების ნიშანი არისო და სხვა და სხვა წამალს არჩევენ ამ საზოგადოდ გავრცელებულის სენის თავიდამ მოშორებისათვის. ზოგნი ამბობენ, ხაზინის ცარცვა და მოქრთამეობა ასე არ იქნებოდა გავრცელებული, თუ რომ კერძო პირთ გაადვილებული ჰქონდეთ დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემაო; თორემ ეხლა თუ რომელიმე პირის უმახლობელესმა მთავრობამ ნება არ დართო და სენატის გარდაწყვეტილება არ გამოვიდა, არავის არა აქვს უფლება სამსახურის პირს რაიმე ბრალი დასდვასო.

ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და მისის წყალობით ძალიან ბევრი დამნაშავე დღესაც «ყველასაგან პატივცემული» დაიარება, რა კი ვერავინ ვერ უბედავს პასუხის გებაში მიცემას. მის ავკაცობას წინ მწყალობელი უფროსი ფარსავით აჰფარებია, ხშირად მით უმეტესად მწყალობელი, რაც ხელქვეითს უფრო მეტი შეუძენია თვისის უკანონო მოქმედებით. მაგრამ ამ გარემოებაზედ არა ნაკლებ მოქმედებს გულ-ჩვილად მოკიდება იმისთანა პირებთან, რომელნიც ბოროტების გზაზედ დაუყენებია არა გაჭირებას, არა შიმშილ-წყურვილს, არამედ სვავის მადას და მოხვეტის წადილს. სასტიკი კანონი სრულის თვისის სიმკაცრით უნდა მოეპყრას ამისთანა პირებს. სხვა რომ არა იყოს-რა, მთელის ხალხის შეგინებული სინიდისი ამით მაინც ცოტა შემსუბუქებას იგრძნობს.

იქნება ზოგმა სთქვას, რომ კანონის სიმკაცრე ვერავის შეაშინებსო და თუ დღეს მცარცველობის გმირს სამუდამოდ ციმბირში გადაჰკარგვენ, ხვალ და ზეგ მეორე და მესამე გამოჩნდებაო. ჩვენა გვგონია, რომ ეს ასე არ არის; კანონის სიმკაცრე ვერ იმოქმედებს იმისთანა პირებზე, რო-

---

## «დროების» ფელეტონი, 16 ოქტომ

### კვირის საუბარი.

ბ-ნი პიზანი და ერთი კაპეიკი. — ბრძოლა ამ კაპეიკისათვის. — ბ-ნი პიზანის ხერხი და მისი მჭევრმეტყველური საბუთები. — რჩევის დათანხმება. — «დროების» ქუთაისელი კორესპონდენტები. — ცილის-წამება, როგორც თავის გამამართლებელი საშუალება.

მან იუცხოვა... მან იწყინა... იგი, დასასრულ, განრისხდა და, მედგრად იძრო რა ხრმალი ქარქაშით, ეშვაეშვით გამოვიდა ბრძოლის ველზედ. მკლავ-დაკაპიწებული, ხელვარე იარაღით ხელში, წარბ შეჭმუხვნილი, ის უშიშრად წარსდგა უმაღლესის რჩევის წინ და ხმა მაღლა აღიარა: «ბატონებო, ან მე, ნ კაპეიკო!» «კაპეიკი ან მეო!» დაბეჯითებით განიმეორა მან და რჩევამ მყისვე იგრძნო, რომ უბრძოლველად საქმე არ გათავდებოდა. ბბ. ხმოსნებმა ჩუმად გააპარეს ხელები ჯიბისკენ, რომ ამ სახით, ცოტათი იყეს მაინც დაეცვათ თავიანთი საკუთარი კაპეიკები და მერე უფრო გულდამშვიდებით დაფიქრდენ იმ კაპეიკზე, რომელსაც ითხოვდა თავზე ხელ-აღებული გმირი... მეტია, რასაკვირველია, დავუმატო, ჩემო მკითხველო, რომ ეს უკანასკნელი კაპეიკი სხვა კი არა, — სწორედ ის ბედშავიკაპეიკია, რომელიც ჰყავის ჩემს ჯიბეში, თქვენს ჯიბეში და, საზოგადოდ, ყველა ჩვენისთანაების ჯიბეში და რომლის დაცვა და დაფარვა გაჭირვებაში ჩვენზე კი არა, — სხვებზეა დამოკიდებული. ეს სხვები არიან ისინი, რომელთა წინ წარსდგა ზემოხსენებული გმირი და რომელნიც, შემდეგ ჯეროვან ზომების მიღებისა საკუთარი კაპეიკების დაცვის შესახებ, ღრმად დაფიქრა სხვის, ესე იგი ჩვენს და თქვენს კაპეიკების მომავალ ბედზე.

შედეგი ამ დაფიქრებისა მეტად გულმოსაკლავი გამოდგა... გამოჩნდა, რომ ის კაპეიკი, რომლისთვისაც იწვევდა ბრძოლის ველზე ცხრა მთა გადალმელი გმირი შეშინებულ რჩევას, ამ რჩევის წევრებისა კი არა — სხვების ყოფილა და რჩევა კი ამ შემთხვევაში «აჯეკუნის ვალდებულებით» ალჭურვილა. რა კი ამ ზომამდის მიაღწია კითხვამ — საქმე უფრო გაადვილდა. გაახსენდა ყველას ჩვენებური აპეკუნობის ალიან-ჩალიანი, «сиротскій судъ»-ი, ბ. შანშიევი და სხვა და სხვა და ბოლოს იმ დასკვნამდის მივიდა რჩევა, რომ «არც სასიძოს უშავს არაფერიო!» აქ ყველამ, რასაკვირველია, კვლავ გადაავლო თვალი «ხრმალ დარაკიან» ვაჟბატონს, რომლის გამომეტყველება ცხადად ამბობდა, რომ თუ მას ნებით არ მისცეს ქალბატონი კაპეიკი, იგი მზათ არის მის მოსატყუებლად... ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდეც აალელვა რამოდენიმე ხმოსანი. მათ გაახსენდათ ძველი დრო, როდესაც ისინიც გმირებათ გამოიყურებოდენ და როდესაც «უზენაესი ალი სიყვარულისა» კაპეიკისადმი მათაც აღელვებდა.... გაახსენდა და... თანაგრძნობის ცრემლით აივსო ზოგიერთის თვალები. რა კი ამ გვარად პირობები შეიცვალა, რაკი ბრძოლის სურვილის მაგიერ ზოგიერთ ხმოსნებს დაეტყოთ თანაგრძნობის ნიშანი, — წინდახედული სასიძო მიხვდა, რომ ეხლა ხრმალი და ბრძოლა უსარგებლოა, რომ ეხლა სხვაშია საქმე, რომ, ერთი სიტყვით, «ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.» მიხვდა და მიიღო ზომები, რომ მოქცეულიყო ახალ პირობების მოთხოვნილებისამებრ. მან უეცრად ჩააგო ხრმალი ქარქაშში, მოიხარა წელში, ვითომ და უსამართლობის ტვირთ ქვეშ, გაიხსნა გული და მოჰყვა ჩივილს: — «ბატონებო! — ასე სჩიოდა იგი დაახლოვებით, — შემომხედეთ მე, დააკვირდით ჩემს აღელვებულ სახეს, ჩემს ცრემლებს და თქვენ მიხვდებით, თუ რა გვარი ლოდი აწევს ჩემს გულს. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს ლოდი ჩემი პირადი ანგარიშების გაცრუების შედეგი იყოს, სრულიადაც არა, ღმერთმა დამიფაროს ამ გვარი სირცხვილისაგან. მე ვტირი, მაგრამ ვტირი იმ ცრემლებით, რომლებითაც სტიროდენ ახალი აღთქმის მოციქულები, როდესაც ატყობდენ, რომ მათი ცდა და შრომა ხალხის კეთილ-დღეობისათვის, ამ ხალხის მიუხდომლობის და უმეცრების გამო, უსარგებლოდ იკარგებოდა... შამდურებო! მე ვიშრომე თქვენთვის, მე არ დამიშურავს არაფერი, მე... მე... მე... აქ, რადგანც ცრემლებმა აღარ აცალა ლაპარაკი ორატორს, მან ამოიღო ჯიბიდამ რაღაც ქაღალდი და გადასცა ხმოსნებს.

ეს იყო სასიყვარულო წერილი კაპეიკისადმი, რომელშიაც საამიყო სიტყვების გარდა, ბლომად იყო ჩივილიც იმ პირებზე, რომელთა ვერაგობით აგრე გაძნელდა კანონიერი შეუღლება. მასში ბ. პიზანი (ეს გახლავთ გვარი გმირისა) უთითებდა ქალაქის რჩევას (მშვენიერი კაპეიკის ჭირისუფალს) თავის ღვაწლზე და შრომაზე ქალაქის დამშვენებისა და კეთილდღეობისათვის, (კონკის, ანუ, როგორც კინტოები ეძახიან, «ბატის» გაყვანაზე თბილისში) და თან ეკითხებოდა ამ რჩევას, ეს უგულო და სისხლ-დამშრალი ჭირისუფალი რისთვის იწუნებს მას კაპეიკის სასიძოდ. რომ უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა თავის სიტყვებისთვის დაჭინებულ სასიძოს არ დაეიწყებია მოეყვანა ჯეროვანი მაგალითებიც სხვა სასიძოე-

მელნიც რაიმე აზრს გაუტაცნია და მზა არიან მისთვის ყოველივე შეწუხება და გაჭირება აიტანონ. ამ შემთხვევაში ხშირად სასტიკი სასჯელი ერთსა და ორს პირს თუ ავნებს, ხშირად ამითვე თითონ აზრს ასსა და ორასს უფრო ერთგულს მომხრეს და მის განსახორციელებლად თავ-გადადებულს უშოვის. ფულის-ქურდობა და ხაზინის ცარცვა კი სულ სხვაა; ამ ასპარეზზედ მომქმედნი აზრს კი არ ემსახურებიან, კერპად თავიანთი სტომაქი გაუხდიათ და განცხრომით ცხოვრება სიცოცხლის საგნად. პატორგის შიშს შეუძლიან ეს პირნი ბოროტების წინ შეაფერხოს და თუ შიში «სინიდისს ვერ შეიქმს» და ბოროტის განზრახს კეთილად ვერ გადააქცევს, ბოროტების წადილს მაინც აულაგმავს.

ყოველსავე ამ ზომას შეუძლიან, როგორც ვთქვით, მხოლოდ დააკმაყოფილოს საზოგადოების ცნობიერება. მაგრამ საზოგადოების ზნეობას ძირეულად ვერ შესცვლის ვერც ადვილად პასუხის-გებაში მიცემა, ვერც სასტიკის სასჯელის შიში. თუ საზოგადოების წევრნი თავიანთ რიგიანი შესაფერს საქმეს ვერ იშოვნიან, თუ თავისუფალ მსჯელობას და სიტყვას ფართო ასპარეზი არ გაეხსნება, თუ, ერთის სიტყვით, არ შეიცვლება, ის ხავს-მოკიდებული ჰაერი, რომელიც ეხლა საზოგადოებას ახვევია,—გმირებათ რიკოვები და იუხანცოვები იქნებიან და მათს მოქმედებას საზოგადოება თუ ტაშს არ დაუკრავს და ალტაცებით არ მიიღებს, გულ-ხელ დაკრეფილი მოწიწებით მაინც გაჩერდება და «გმირობით» გაოცებულ გულში წაბაძვის სურვილი აღეძვრის.

## შინაური ქრონიკა

≈ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მოსვლამ ჩვენში ჩვენ სამეურნეო საზოგადოებასაც აღუძრა სურვილი საგანგებო კრების მოხდენისა და მინისტრის მოწვევისა ამ კრებაზედ. ამის გამო საზოგადოებამ გამართა ხუთშაბათს, 12-ს ოქტომბერს, კერძო კრება, რომელსაც შეიძლება სარეპეტიციო კრება დავუძახოთ, რადგან ამ საღამოს წაკითხულ იქმნა ის ციფრებით სავსე რეფერატები, რომელნიც მაშინაც უნდა წაიკითხონ, როდესაც მინისტრი მიწვეული იქნება საგანგებოდ გამართულს კრებაზედ. ერთი რეფერატი ეკუთვნის ბ. ღამბაროვს და შეეხება იმას, რომ ერთის ადგილიდამ მეორეზედ გადამსვლელი მწყემსი ხალხი ბინადარ ხალხად გადაქცეულ იქმნას; ამისათვის მიეზომოს სახელმწიფო მიწები ყოველ სოფელს და გაყვანილ იქმნას რუები იმ ზამთრის საძოვარ ადგილებში, სადაც ეხლა უწყლობისა და სიცხის გამო ხალხი ზაფხულობით ვერა სძლებს. მეორე რეფერატი შეეხება აბრეშუმის წარმოების საქმეს და ეკუთვნის ბ. შავროვს—შვილს; მესამე რეფერატი რუების გაყვანაზედ და მოსარწყავ წყლით სარგებლობაზედ წაიკითხა მრავალ ასპარეზზედ მომქმედმა ბ. დინგელშტეტმა, რომელმაც გამჭრიახის ჭკუით ეს საგანი შეუერთა ნაციონალურს საქმეს რუსეთისას კავკასიაში.

შემდეგ ამ რეფერატების მოსმენისა ერთმა წევრმა კრებისამ, თ. ჩოლაყაშვილმა, გამოაცხადა, რომ აქ ყველა კარგი, მაგრამ არ იქმნება ურიგო, თუ მინისტრს საზოგადოდ შევატყობინებთ ჩვენს საჭიროებას და წამლად ან საშუალო ან უმაღლესს სამეურნეო სასწავლებლის გამართვასა ვსთხოვთო. ეს საფუძვლიანი აზრი კრების წევრთ უსაფუძვლოდ ეჩვენათ და ისევ ის არჩიეს, რომ, როდესაც მინისტრი დაბრუნდება თბილისში (ეს მოხდება 17-ს ამ თვეს), მიიწვიონ კრებაზედ და ეს სამი ცოტა მომველებული რეფერატი ხელ-ახლავ წაიკითხონ მის წინაშე!

≈ მეტეხის ეკლესიის ციხის მღვდელი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

სასარგებლოდ თბილისის მეტეხის ტუსაღების ბიბლიოთეკისა კიდევ შემოსწირეს წიგნები შემდეგ პირთ:

სეკრეტარმა... თორმეტი წიგნი რუსულს ენაზედ.

«დროების» რედაქციამ ამა 1883 წლის გაზეთი «დროება».

«ივერიის» რედაქციამ ამა 1883 წლის ჟურნალი «ივერია».

«კავკაზის» რედაქციამ ამა 1883 წლის გაზეთი «კავკაზი»

«ბაქოს უწყების» რედაქციამ ამა 1883 წლის გაზეთი «ბაქოს უწყება».

მეტეხის ციხის პატიმარნი ამ გვარის კაცობრივის თანაგრძნობისათვის უძღვნიან გულითადს მადლობას ზემოხსენებულ პირს და რედაქციებს, ამასთანავე გულ-მოდგინედ სთხოვენ თანამგრძნობელ საზოგადოებას, შემოსწირონ სასარგებლოდ ბიბლიოთეკისა პატარა იაფი ფასის ანბანები რუსულს, ქართულს, სომხურს და თათრულს ენებზედა და აგრეთვე შკაფი წიგნების შესანახავად, რადგანაც კომიტეტისაგან შემოწირულს შკაფში დიდი ხანია, აღარ ეტევა ბიბლიოთეკის წიგნები (3654 ეგზემპლ).

≈ რაჭიდამა გვწერს: მღ. ნ. ფ. როცა რაჭაში მაზრის უფროსად თ. ჯიჯავაძე იყო და ლეჩხუმში განსვენებული გრინევსკი, რაჭა-ლეჩხუმის სკოლები კარგს მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მათის გამოცვლის შემდეგ სკოლებს და მასწავლებლებს მოაკლდათ ხელის-შეწყობა; გლეხებმა სკოლაში შვილების მიცემა შეასუსტეს; სკოლაში მიდებული ყმაწვილები გაჰყავთ და სწავლას თავს ანებებინებენ; მასწავლებელს რიგიანად და თავის დროზედ ჯამაგირს არ აძლევენ; ზოგან სასწავლებელი სახლები თავის მორთულობით დანგრეული და გაფუჭებულია; სტოლებსა და შკაფს სულ მოკლებულნი არიან!.....—ძნელად იპოვით ეხლა თითო სკოლაში 10 და 15 ზე მომეტებულს მოსწავლეს და ესენიც ძალიან ღარიბად არიან, საბრალო მასწავლებლები, ყოველ ღონის ძიებას მოკლებულები, ცდილობენ დაახნიონ რამე კვალი სასწავლებლებსა, მაგრამ ხსენებულ ნაკლულევანების გამო მათს შრომას რიგიანი ნაყოფი არ მოაქვს.

---

ბის და სხვა სასძლო კაპეიკების ცხოვრებიდამ, რა-გვარ მაგალითებიდამ ცხადად უნდა გამოჩენილიყო, რომ არასად და არასოდეს სხვა ქირისუფლები არ ჰყოფილან აგრე ჯიუტის და მოუდრეკელ ხასიათისა, როგორიც, საუბედუროდ, გამოდგა თბილისის რჩევა. მაგალითად,—ამბობს ბ. პიზანი თავის წერილში,—აიღეთ ოდესის, პეტერბურგის, ბერლინის, ვენის, პარიჟის, ბრიუსელის და სხ. ქალაქების რჩევის მოქმედება ამ შემთხვევაში და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩემისთანა სასიძოებს არასოდეს არ მიუღიათ უარი, როდესაც კი ისინი კაპეიკზე დაუფლებას მოინდომებდნენ. მაგრამ აქ ბ. პიზანს ცოტა შეცდომა მოუხდა. მან ქალაქის რჩევის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ოდესის ქალაქის რჩევის მოქმედებას ამ შემთხვევაში, რომლიდამაც მოულოდნელად გამოჩნდა, რომ თბილისის რჩევისაგან გადაწყვეტილი ფასი—4 კაპ. სრულიად საკმაოა. მაშასადამე ჩვენის სასიძოსაგან დაბეჯითებით მოწადინებული კაპეიკი კანონიერი კი არა,—უკანონო მეუღლე იქნებოდა, რომლის დაქორწინება პიზანთან—პირ-და-პირ სულის წამწყმედად უნდა ჩაითვალოს რჩევის მხრით. მიუხედველად მისა, მოხერხებულმა სასიძომ მაინც მოაჭახრაკა საქმე: ოთხი კაპეიკი—«неудобная монета»-აო, ესე იგი ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ჯიბეს დაგიმძიმებთო და ამით გათავდა ყოველისფერი. ქალაქის რჩევამ დაღვარა ალტაცების ცრემლი და წრფელის გრძნობით წარმოსთქვა: «ქორწინების მონა ღვთისა პიზანი მხევალსა ზედა კაპეიკზედაო!» ბადასახა ჯვარი და მოიცილა თავიდამ სასძლოც და სასიძოც.

ამ უკანასკნელის გასტუმრებაზე—კარგად რომ მოახერხებია ეს რჩევას,—ჩვენ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ სასძლო—კაპეიკის მოცილება ყოველ ჩვენგანს, მისი ნამდვილი ქირისუფალს, სწორე მოგახსენოთ, ვერაფრად გვეჭაშნიკა. ჩემდა თავად მაინც არ შემიძლია არ ვთქვა, რომ თუ პიზანის ფიქრით 5 კაპ.—удобная монета-აა, 3 კაპ. იმ გვარივე удобная монета-დ უნდა ჩაითვალოს—ეს ერთი. მეორედ, ნუ თუ ჩვენმა რჩევამ ოდესის და პეტერბურგის კონკის ფასი ჩვენის კონკის ფასის მოსამატებელ საბუთად მიიღო, ნუ თუ მართლა მან არ იცის, რა განსხვავებაა მათ შორის? თუ ეს მართლა ასეა, ურიგო არ იქნება ეკითხათ მაინც ბ. პიზანის ცხენებისათვის. ეს უკანასკნელები აუხსნიდენ ბ.ბ. ხმოსნებს, რომ თუ ოდესაში და პეტერბურგში თვითო სტანცია 8 და 10 ვერსია, ჩვენში 2 და $2\frac{1}{2}$ არ არი და თუ, მაშასადამე, იქ, შუათანა რიცხვით, 4 კაპ. კმარობს, ჩვენში სამსაც არაფერი უშავდა. მაგრამ ვინ იკითხა ეს ყოველიფერი,—«უყვარს პიზანს კაპეიკი და მივცეთო!» თქვე დალოცვილებო, ვის რა არ უყვარს, მაგრამ ყველას რომ დავურიგოთ რაც უყვარს, ეს მეტის-მეტად შორს წაგვიყვანს.

ეხლა კი, არა თუ ბ. პიზანი, მისი ცხენებიც კი დაგვცინიან როგორც ჩვენ, ისე ჩვენ ქალაქის რჩევას. ჩვენ სრულიადაც არ ვხუმრობთ. ამ ამბავმა კიდეც აალელვა ზოგიერთი ძნელად ასაღელვებელი პირები და ერთმა მათგანმა, რომელსაც თავის დღეში მოკითხვის წერილის გარდა არაფერი დაუწერია, ლექსიც დასწერა ამ შემთხვევის გამო. მართალია, მისი მუზა არაფერი შესანიშნავია, მაგრამ მაინც მუზაა, და ეს სრულიად საკმაოა, რომ მისი ნაწარმოები წარვუდგინოთ მკითხველებს. უკანასკნელები შეიძლება კმაყოფილნიც დარჩნენ, რადგანაც ლექსის საგანი ქისაა—ყველასთვის საინტერესო და სასიყვარულო ნივთი. აი ეს ლექსიც:

ვაი ჩვენო ქისაო,
ძისავ ჭრელა-ჭრულაო,
გეთხოვებით, გენაცვა,
სამუდამოდ ყველაო!

*

თუნდა იყო ნაქარგი
სირმით, ფერად ძაფითა,
ვერ ააძგერ ჩვენს გულებს
აწ შენ ცქერით, ნახვითა.

*

შორის ქვეყნით მოსული,
ჩვენში უცხო ხიზანი,
დაპატრონდა ჩვენს გროშებს
უპატრონო პიზანი.

*

დაპატრონდა და მშვიდად
«ბატს» მოუთხრობს: «აწიო
ნუ გეშინის ნურავის
ცხვირი მაღლა ასწიო!»

*

«აღარა გვყავს არსაით
მტერი, არცა ბადალი:
ეს ქვეყანა ჩვენთვისა
დუმა გახდა სათალი».

*

«იფარეფაშე ქუჩებში:
რიწკი—რიწკი—რიწკიო!
—სულელი ხართ—იძახე—
რჩევას შესცქერთ ვინცკიო;

*

«დღეს სხვას ამბობს, ხვალე სხვას
ეს გროშების—პარია;
მისი ფიცი—კვეხნაა
მისი სიტყვა—ქარია»!

*

ვაი ჩვენო ქისაო,
ძისავ ჭრელა-ჭრულაო,
გეთხოვებთ, გენაცვა,
სამუდამოდ ყველაო.

—

ბ. პიზანიდამ ურიგობა არ იქნება გადავიდეთ იმ ქუთაისელ გმირებთან, რომელნიც მასაით ეტრფიან კაპეიკებს და რომელნიც ამ კაპეიკების სიყვარულით გზნებიან «დროების» რედაქციაში არა თუ გრძნობით—ლანძღვა-გინებითაც შეზავებულ წერილებს. «დროების» მკითხველებს ეხსოვებათ, რომ ამას წინედ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი პირველად, ბ. დარახველიძის შენიშვნა იმ კომისიის მოქმედებაზე რომელსაც ჰქონ-

〰 გორის მაზრიდამ იწერებიან: ამას წინედ მე მომიხდა ყოფნა პატარა ლიახვის ხეობაში, სოფ. დისიჯინში. აქ მცხოვრებლებმა შემომჩივლეს, რომ ამ ხეობაში იმყოფებაო ერთი ოსი, რომელსაც ეშმაკები ჰყავს შეპყრობილი და ვისაც უნდა, იმის სახლში ჩამოსხამსო. ამ სახლს ყოველ გვარი უბედურობა: ავად-მყოფობა და სიკვდილი არ მოაკლდება, ვიდრე ის ოსი არ მოინდომებსო. ეს კაცი ოსებსა ჰყავთ წარმოდგენილი «ეშმაკის მოციქულად» და ვაი იმისი ბრალი ვისაც კი ჯავრი სჭირისო!

აქ ერთმა ოსმა ალექსი ბუქულაშვილმა შემომჩივლა, რომ ეს სამი წელიწადია, რაც მე გარდამკიდა ეშმაკებიო და ღამე მოსვენებას არ გვაძლევენო; შარშან მოვიხმე «ეშმაკის მოციქული», რომ ამ უბედურებას ავცილებულვიყავიო, სამი თუმანი ფული და ხუთი კოდი პური მივეცი, მაგრამ დღესაც ჩემს სახლში ეშმაკები ისევ მოდიანო. «ერთხელ შუაღამისას», დაუმატა ბუქულაშვილმა, «უცებ ჩემმა ქალმა დაიყვირა: «მიშველეთ, მდევმა მომკლაო». ამ დროს მე იქითკენ თოფი გავისროლე და ტყვია ჩემს ქალს ხელში მოხვდა, კინაღამ არ მოვკალიო»!..

«ეშმაკის მოციქული» თურმე ატყუილებს უმეცარ ოსებს, ეშმაკებისაგან დაგიხსნითო და ამ დახსნისათვის სამ-ოთხ თუმანს ნაკლებ არა სჯერდება.

ვის უნდა დავავალოთ, რომ ამ «ეშმაკის მოციქულს» დარიგება მისცეს, თუ არ მღვდლებსა?...

〰 ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და მისი ძმა კვირას, 16 ოქტომბერს, მოვლენ თბილისში და მხოლოდ ორს დღეს დარჩებიან.

〰 ჩვენ შევიტყეთ, რომ მზადდება გამოცემა გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებებისა ორ ტომად.

შევიტყეთ აგრეთვე, რომ ბ. ი. გოგებაშვილი აპირებს რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნების გამოცემას, რომელთაც საერთო სახელი ერქმევათ «კუნწულა». პირველი წიგნი «კუნწულასი» ამ თვის ბოლოს უნდა გამოვიდეს.

〰 როგორც შევიტყეთ, გამოჩენილი ყაჩაღი გიორგი მიქელაძე, რომელიც წინად სამჯერ გაიქცა ციხიდამ, ა. ყულაშში დალატობით დაუჭერიათ. დაჭერის წინად დაუჭრიათ თოფით ორჯერ.

## «დროების» კორესპონდენცია.

**ხევის მაზრა.** ერთი კაცის გამხმარი გოგრა მთის წვერზედ ეგდო თურმე და საიდგანაც ქარი დაჰბერავდა იქით გადააგორებდა. ეს თავი იძახდა: «ღმერთო, უარესისგან დამიხსენო»; და ეს სიტყვები ყოველ მსმენელს აკვირვებდა. ერთი კაცი შეხვდა ამ გოგრას და გაკვირვებულმა ჰკითხა: «ამაზედ უარესი რაღა მოგივაო»? ამ დროს ქარმა უფრო ძალზედ დაჰბერა და ერთს მთაზედ ხრიალით გადააგორა. მაშინ თავმა დაიძახა: «ესეც უარესიო!» და დაიმსხვრა.

სწორედ ამ ზღაპარს მოგვაგონებს ხევის მდგომარეობაც, რომელიც აუგორებია დაუდევარს ქარს და ვინ იცის, საით არ აგორებს, საით არ ათრევს. ხევიც უბედურად ჰგორავს, იმტვრევს თავ-პირს, მოსვენება არ ეძლევა და გამხმარ გოგრასავით იძახის: «ღმერთო, უარესისგან დაგვიხსენო»!..

ეს ბედკრული მხარე, გოგრასავით გამხმარა და გამოფიტებულა, მოჰკლებია სიცოცხლე და სულს ველარ ითქვამს. უწინ ხევში სხვა იყო. უწინ მეზობელი მეზობელს იცნობდა და ერთმანეთზედ ზრუნვა, გაბჭობა, და გამართლება ერთმანეთის ნაცნობებზედ იყო მივარდნილი და ეხლა-კი ვინ გინდათ, რომ მას არ სჯიდეს, მისთვის არ ზრუნავდეს?..

საუბედუროდ, მზრუნველად ერთი ისეთი კაციც ვერ შეხვდა, რომელიც იცნობდეს მათს შინაურს ცხოვრებას და წყობილებას, რომ მის შეხედვით უვლიდეს მისს მზრუნველობაზედ მივარდნილს ხალხს... ეს ბატონები არამც თუ ხალხს არ იცნობენ, თავიანთ თავს ჯაფასაც არ აძლევენ დააკვირდენ მისს ცხოვრებას, გაიგონ მისი შეხედულება, რადგან უამისოდ მმართველი, რომელიც მშობლიურად უნდა ზრუნავდეს, მტარვალად გადაიქცევა, თუნდა ჩაბარებული ხალხის სიყვარული განუსაზღვრელიც ჰქონდეს.

მაგალითისთვის ავიღოთ ეხლანდელი ხევის მაზრის უფროსი, რომელიც დაიჭერს თითო ოროლას და არწმუნებს, რომ «სახეზედ, იერზედ შეატყო, რომ ის დამნაშავეა, ამადა-ემ შემთხვევაში», უდგენს აქტს, აცდენს საქმეს და სასამართლოებში თრევის უსიამოვნობას თავს ახვევს. ან კიდევ სჩადის იმისთანა განკარგულებას, რომ მთელს სოფელს მთელი თვე გზა შეუკრას, აღარ აძლიოს ბილეთი ან ალმა, ან დალმა წასასვლელად, როგორც ზველეთის სოფელს უყო, მაშინ როდესაც ეს ხალხი ძაუკაითა სცხოვრებს და თითო-ოროლა ფუთი პურის სყიდვითა ჰკვებავს სახლობას. ან კიდევ და ორმოც-და-ათ ვერსზედ იბარებს უწყების ჩასაბარებლად.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ბ. ბ. ყველა ამას ხალხის კეთილ-დღეობისთვის ჩადის, რომ ის დარწმუნებულია, რომ ამით დიდი სარგებლობა მოაქვს. ვწამს იმისი წრფელი სურვილი, რადგანაც ბ. ბ. ძველადგანვე მრავალ «საკეთილო» საქმეებში ცნობილია, მაგრამ რადგანაც ის ხალხის მდგომარეობას არ აკვირდება, არ იცნობს, ყოველი მისი «განზრახ საკეთილო» განკარგულება მოხევეებისთვის მტარვალობად ჩაითვლება.

ბ. ბ. რომ დაჰკვირვებოდა ხალხის ცხოვრებას, ის რომ ცდილიყო გაეგო მათი გაჭირება, მაშინ ადვი-

და მინდობილი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლისთვის მიწის ყიდვა, და, მეორედ, მოკლე წერილი ერთი ქუთაისელი პედაგოგის არა სასიქადულო ქცევაზე. ამ უკანასკნელზე იწერებოდენ, რომ იგი ბავშვების სწავლას და განვითარებას არ აქცევს თურმე ისე ყურადღებას, როგორც იეზუიტურ პოლიტიკას და გაძრომ-გამოძრომას, რომლის შემწეობითაც კიდეც აწყობს თურმე თავის საკუთარ საქმეებს, მაგრამ მასთან სამარადისოდ ღუპავს საბრალო მოსწავლეების ბედს და მომავალს. ეხლა ორივე ამ წერილებზე მივიღეთ პასუხი, მაგრამ, სწორედ რომ ახირებული პასუხი. პირველ საქმის შესახებ, ერთი პირი, რომელსაც, თვითონ საქმის გარემოებით, არ შეუძლია არ გაამართლოს კომისიის მოქმედება, გვწერს, რომ კომისიისაგან შვილის ფასად შეძენილი ადგილი მეტად მშვენიერებაო და მერე მოჰყვება ჩვენის კორესპონდენტის ლანძღვა-გინებას. «ჯერ, გვაცნობებს ეს ზოგოლისაგან აღწერილი ყოვლის მხრით სასიამოვნო ქალბატონი,—თავდაპირველად ვალად ვრაცხ გავაცნო «დროების» მკითხველებს, თუ ვინ ბრძანდება ბ. დარახველიძე. ეს გახლავს «აბლაკატი» და როგორათაც დიდის ხნობით შეჩვეული კაცი, რომ ყოველი საქმის თაობაზე მიიღოს ცნობილი დაჯილდოება, რასაკვირველია მისთვის გაუგებარი შეიქნა მიუღებლად რაიმე საქმის მოქმედება, და ესეც არის ის საიდუმლო, რომელიც პას აწუხებს». რაკი აგრე ქართულად და მჭევრ-მეტყველურად გაგვაცნობს ბ. დარახველიძის ვინაობას, მერე ის გადადის სხვა საგნებზე, რომელნიც თუმცა საქმეს პირ-და-პირ არ შეეხებიან, მაგრამ მშვენივრად ამართლებენ ზოგიერთ ადამიანის ენის ქარის წისქვილთან შედარების სინამდვილეს.

არც ბ. პედაგოგი იქცევა უკეთესად.

ბ. ქ—შვილი იმდენად თავს არ იმართლებს იმ არა მოსაწონ ყოფაქცევაში, რომელსაც მას აბრალებენ, რამდენათაც ჰსცდილობს ალამაზოს და გუნდრუკით და მურით გარემოსოს თავის თავი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ნაცნობის მოხერხება რომ ჰქონოდა მას, ლექსსაც მიუძღვნიდა თავის თავს, რომელშიაც პესტალიცობას თუ არა—ზაროწკობას მაინც შესწამებდა მას. იმ «ცილის-წამებისაგან» თავის გასამართლებლად, რომლის ვითომ—მსხვერპლად იგი შეიქმნა, ბ. ქ—შვილი გვაუწყებს, რომ მისი ყმაწვილები «დილით სამღვთო წერილს სწავლობენ, კვირაში ორჯელ სარეცხს იცვლიან და თვეში ორჯელ აბანოში დადიანო». ვერ გაგვიგია მხოლოდ, რა კავშირი აქვს ჩვენს გაზეთში მოყვანილ ბ. ქ—შვილის საკიცხავ ქცევას ყმაწვილების აბანოში სიარულთან და მათ სარეცხთან, ან როგორ შეუძლიანთ ამ უკანასკნელებს დაგვიმტკიცონ ბ. ქ—შვილის ზნეობრივი სისპეტაკე. ვიმეორებთ, ეს ჩვენთვის გაუგებარია, როგორც ბევრი სხვა რამე, რომელიც მოიძებნება ზემომოყვანილ წერილში. მაგრამ მასშივე მოინახება მისთანა რამეც, რომლის გაგებას და დაფასებას ბევრი შრომა არ სჭირია. მაგალითად; ბ. ჯაზიგურგენის (მისი მოპირდაპირის) წერილი, გვწერს ბ. ქ—შვილი—აი რამ გამოიწვია: 'გასულ წელიწადში ის თვითონ ამზადებდა ყმაწვილებს და რადგანაც იმათი (?) მომზადებულმა ყმაწვილებმა ვერც ერთმა ვერ დაიკავა ეგზამენი, ამისთვის მშობლებმა ყმაწვილები სხვებს მიაბარეს, ერთი მათგანი ჩემთანაც მოიყვანეს. იმას თავი უნდა გაემართლებია ყმაწვილების მშობლებთან, რომლებისგან ფულები ჰქონდა აღებული» და სხვა. დასასრულ, ერთი სიტყვით გამოდის ბ. ქალანდარიშვილის მხრით რაღაც ცილის-წამების მსგავსი, რაც სრულიადაც არ ეკადრებოდა ჯერ «პედაგოგს» და მერე მისთანა პედაგოგს, რომლის ყმაწვილები—ვიტყვით ჩვენის მხრით — «დილით სამღვთო წერილს სწავლობენ, კვირაში ორჯელ სარეცხს იცვლიან და თვეში ორჯელ აბანოში დადიან თურმე».

მეტია, რასაკვირველია, დავუმატოთ, რომ ეს ორი ქუთაისელი წერილებიც გამოწვეულია ზემოხსენებულ კაპეიკის სიყვარულით. მაგრამ ამ სიყვარულის გარდა მეტად თუ არა, არა ნაკლებ შესანიშნავია ის საშუალებაც, რომლის მეოხებითაც სცდილობენ თავის გამართლებას ზემოხსენებული პირები. ეს საშუალება—ცილის-წამებაა. ჩვენში, როგორც ჰსჩანს, ჯერ ბევრისთვის გაუგებარია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ამ გვარი იარაღის ხელში აღება და თავის შეურაცხყოფა—ერთი და იგივეა. თავის თავს მითი ვერ გაიმართლებ და მოპირდაპირეს-კი—მტყუანიც რომ იყოს იგი—დიდ საშუალებას აძლევ შენს წინააღმდეგ. ეს იმას ჰგავს, რომ ბრძოლის დროს კაცმა იძროს ხმალი ქარქაშით და თვითონ პირს სტაცოს ხელი და ტარი კი თავის მოპირდაპირეს მიაწოდოს. სიმართლეც რომ ჰქონდეს კაცს ამ შემთხვევაში, ისიც უსარგებლოდ რჩება, რადგანაც არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, რაკი მის სარჩულად ცილის-წამებას დაინახვენ. ეს ყოვლიფერი —ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომლის უცოდინარობა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ყოველ კაცს. მით უფრო გასაკვირველია, რომ ეს მეთერთმეტე მცნება გაუგებარი ყოფილა როგორც ქუთაისელი კომისიის მადლიერ ქალბატონისთვის, ისე იმ ადგილობრივ პერტალოცისათვის, რომლის ყმაწვილები, როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, «დილით სამღვთო წერილს სწავლობენ, კვირაში ორჯელ სარეცხს იცვლიან და თვეში ორჯელ აბანოში დადიან».

ლად შეიტყობდა, საზოგადოდ რა გასაჭირია უწყების მისაღებად ორ-მოც-და-ათ ვერსზედ სიარული, ნამეტნავად ცივს ზამთარში, როდესაც ყინვა 40-° უწევს, ან კიდევ იმ მოკლე ზაფხულში, რომელსაც მთის ბუნება ხალხს ისე ცოტა ხანს აძლევს სამუშაოდ.

ესევე ითქმის გველეთლეზისთვის მთელის თვით გზის შეკვრასა და იერზედ დამნაშავეების აღმოჩენაზედ.

ბ. ბ—ს რომ შრომა მიეცა თავის თავისთვის და რაოდენადმე გაეცნო ხალხი, დაჰკვირვებოდა მისს შეხედულებას, სულის მოძრაობას, მსჯელობას,—ის ადვილად მიხვდებოდა, რა რიგი განკარგულება ხალხს ავნებს და რომელი დედის რძესავით შეერგება.

## რუსეთი

— საპატიმროთა საქმეების კომისიას საჭიროდ დაუნახავს მცირე-წლოვანთა დამნაშავეთათვის ახალ მოსაქცეველი თავშესაფარის სახლის დაწესება.

— ხმებია, რომ გზათა სამინისტროში კიდევ აღუძრავთ კითხვა შესახებ ელექტრ...ით რკინის გზების განათებისა მატ...ებლების მოძრაობის დროს. ეს კითხვა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამ ბოლოს დროს რკინის გზებზე უბედურება ხშირად ხდება.

— ამბობენ აგრეთვე, რომ არტილერიის უწყებას განუზრახავს სახაზინო და არტილერიის ტეხნიკურ ქარხანებში გამართოს მუშებისთვის და იმათი შვილებისთვის სკოლები წერა-კითხვის სასწავლებლად.

## უცხოეთი

— საფრანგეთში კრებები ძლიერ გახშირდა ამ ბოლოს დროს,—ერთი კრება გათავდება მეორე იწყება და ყველა ამ კრებებზე ერთსა და იმავე საგანზე აქვსთ ბაასი და თითონ კრებებიც ერთმანეთს ძლიერ ჩამოჰგვანან. სხვათა შორის, 3 ოქტომბერს რივოლის დარბაზში ჰქონდათ ყრილობა ოპორტიუნისტების მოწინააღმდეგეთ და ყველა ორატორები ერთ ნაირად ჰკიცხავდენ ფერის სამინისტროს მოქმედებას. კრებამ დაამტკიცა რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს სამინისტროს ტონკინის საქმისთვის, მეფე-ჟულანის პოლკოვნიკის წინაშე თავის დამდაბლებისთვის და ტიბოდენის სამსახურიდგან დათხოვნისათვის.

— ინგლისური გაზეთი «ტაიმსი» იწერება რომ საფრანგეთის ელჩს ვადინგტონს და ლორდს გრენვილს მოლაპარაკება აქვსთ ერთმანეთში, მაგრამ ჯერ-ჯერობით პირადფერი გარდაუწყვეტიათ. გაზეთი ურჩევს საფრანგეთს ეხლანდელს მდგომარეობას უფრო გულდამშვიდებით უცქიროს. «ის დაინახავს—განაგრძობს გაზეთი—რომ მისი ნაციონალური პატიოსნება ისეთს საშიშროებაში არ არის, როგორც მისი ნაციონალური ინტერესები, რომელთაც არაფერი არ ევნებათ იმისგან, რომ საფრანგეთმა მშვიდობიანად გაათავოს ჩინეთთან საქმე. ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დიდი არაფერია—თუ საფრანგეთი ჩინეთს დაამარცხებს».

## განცხადებანი

ნერსესიანის სომხური სასულიერო სემინარიის მზრუნველთა რჩევაში ოქტომბრის 26-ს, საღამოს 7-ს საათზე, იქნება ხელმეორე ვაჭრობა (ტორგი) ვაჭრობის განუმეორებლად (უპერეტორჟკოდ) იჯარით გაცემისა ძველი სემინარიის ქვემო სართულისა, რომელშიაც გამართულია 32 მაღაზია. პირობათა გასინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდე. (3—1)

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

**ქიუჩარიანცს**

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. (14—4)

**თბილისის ჯარების ტანთსაცმელის სამკერვალო, რომელიც ნავთლუღში იმყოფება, იწვევს სამუშაოდ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც კი შეუძლიანთ მუნდირების და შინლების ხელით კერვა და აგრეთვე იმ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც ფეხის საკერავ მაშინაზე მუშაობა იციან.** (10—7)

სასტუმრო (გოსტინიცა)

**„იტალია“**

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი. (30—16)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25°/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, ტარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საზნეები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—3)

## 1884 წ. იანვრის თვიდამ

ქ. თბილისში

გამოიცემა ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# ნობათი

პედაგოგიური ნაწილის დამატებით

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი «ნობათი»-სა იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ-მიწევნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ფორმატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

ქრისტეშობისთვეში გამოვა ნიმუშად ერთი ნომერი, რომელიც უფასოდ დაურიგდება 1884 წლის ხელის-მომწერლებს.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ. ნარევი. «ნობათი»-ს ფოსტა. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა ჟურნალ «ნობათ»-სა აღუთქვეს და მიიღებენ: თ. აკ. რ. წერეთელი, თ. რ. დ. ერისთავი, გ. ე. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ე. რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი) და სხვ.

ჟურნალზე ხელის-მოწერა:

ჟურნალი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ეღირება ოთხი მანეთი. ცალკე ნომერი ათი შაური. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკენისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის-მოწერა სურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლებში № 7.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

გორში—ეგ. ფურცელაძისას.

თელავში— ი. პ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію педагогическаго журнала «Нобати».*

(3—1) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

*Довв. ценвур. Тифлисъ, 15 Октября 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.